№ 15.
1885—1890 წ.
ხუთშაბათი 2 აპრილი

თეატრი

№ 15
1885 – 1890 წ.
ხუთშაბათი 12 აპრილი

ქართული საკვირაო გაზეთ

„თეატრი“

ღირს ერთი წლით . . . . 5 მან.
„ ნახევარ წლით . . . 3 „
„ ცალკე ნომერი . . . „ „ 15 კ.
განცხადების ფასი:
პირველ გვერდზედ . . . „ „ 20 „
უკანასკნელზედ . . . . . „ „ 10 „
თვითო სტრიქონის ადგილი.

ხელის მომწერლებს, გაზეთის გარდა დაურიგდებათ უფასოდ ექვსიდან თორმეტამდე ახალი წიგნი ანუ სურათი.

გაზეთში დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები გარჩევით უნდა იყოს დაწერილი: შემოკლება და შესწორება რედაქციაზედ არის დამოკიდებული. წერილების უკან დაბრუნებას და ამის შესახებ მიწერ-მოწერას რედაქცია არა კისრულობს.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრის“ კანტორაში, თავად-აზნაურთა ბანკის თეატრის ქვეშ, სასახლის ქუჩაზედ.

Контора Грузинской воскресной литературно-иллюстрированной газеты

„ТЕАТРЪ“

помѣщается на Дворцовой улицѣ, подъ театромъ Дворянскаго банка.

Плата за объявленія: на первой страницѣ 20 к., на послѣдней 10 к. за мѣсто строки петита.

За разсвилку при газетѣ частныхъ объявленій взимается по 1 коп. съ экземпляра.

Адресъ для иногородныхъ: Тифлисъ, Контора газеты „Театръ“.

თბილისი, 7 აპრილი.

მოახლოვდა ჩვენი საადგილ-მამულო ბანკების საზოგადო კრების დრო, რომელსაც უნდა დაესწრნენ თავად-აზნაურთა საუკეთესო წარმომადგენელები და, სხვათა შორის, უნდა იქონიონ სჯა იმასედაც, თუ რა გაიმეტონ ბანკების შემოსავლიდგან თავიანთ შვილების აღსაზრდელად. ესეთი კრება მოხდება სოლმე ამ მოკლე სანში როგორც თბილისში, ისე ქუთაისში. ამ საგანს (ჩვენი ბანკების საზოგადო კრება, მართალია, ყოველ წელიწადს ეურს უგდებს და თავად-აზნაურობა თავიანთ შვილებს სრულიად უმოწეალოდ არა სტოვებს, მაგრამ არც ისე ერთგულად და მუდაითად ეკიდება ამ მეირფასს საქმეს, როგორც სამართალი მოითხოვს.

ჩვენი თავად-აზნაურობა არასოდეს არ უნდა ივიწყებდეს, რომ ორივე ჩვენი საადგილ-მამულო ბანკი—თბილისისა და ქუთაისისაც—იმ ფულით არის დაფუძნებული, რომელიც მან მთავრობისაგან მიიღო უმების განთავისუფლების დროს. უმები ხომ, როგორც მოგეხსენებათ, მემკვიდრეობითს, საშვილი-შვილო კუთვნილებას შეადგენდნენ, ყოველთვის ერთი თაობისაგან მეორე ახალ თაობის ხელში გადადიოდნენ და ამ გვარად ეველა თაობა ერთნაირად სარგებლობდა და სცხოვრებდა: მათზე შვილებსაც ისეთივე უფლება ჰქონდათ, როგორიც მშობლებს; მამებს არაოდეს არც ზნეობრივი და არც კანონ-მდებლობითი უფლება არა ჰქონდათ გაეყიდათ საშვილი-შვილო ემა და მამული, ფული აეღოთ, შეეჭამათ და თავიანთი შთამომავლობა-კი უნუგეშოდ დაეგდოთ. თუ გამოჩნდებოდა ჟინე ესეთი მამებთა შორის და საშვილი-შვილო საკუთრებას გაანბევდა და შესჭამდა, ესეთ მამას შთამომავლობაც მარადის წეევა - კრულვით მოიხსენებდა ხოლმე. ამ გვარად ჰპატრონობდა ჩვენი თავად-აზნაურობა ემებს მრავალთა საუკუნეთა განმავლობაში, მანამ ბატონ - ყმობა არ მოისპო ჩვენში.

მაგრამ აი მოაღწია, კაცობრიობის საბედნიეროდ, ისეთმა დრომ, რომ მონობის მოსპობა საჭირო შეიქმნა საზოგადოთ, და ჩვენში გლეხების ჰატრონები მთავრობამ, ცოტად თუ ბევრად, დააჯილდოვა და დანაკლისი ფულით უზღო, რომელიც თავად-აზნაურობას საერთოდ მიეცა. ცხადია, ემებში აღებული ფულები, როგორც უწინ თვითონ ემები, მემკვიდრეობითს, საშვილი-შვილო კუთვნილებას შეადგენდა და არა მარტო ერთი თაობის საკუთრებას. ამიტომაც ერთ თაობას, რომელიც შემთხვევით დაესწრო ბატონ-ყმობის მოსპობას ჩვენში და რომელმაც მიიღო მთავრობისაგან საგლეხო ფულები, არავითარი უფლება არა ჰქონდა, ეს ფულები მარტოდ მას მოეხმარა. ჩვენი მშობლები რომ სამართლიანად მოქცეულიეენენ, ის ფულები უკლებლად და ხელ - უხლებლად უნდა დარჩენილიეო საშვილი-შვილოდ, და მარტო მისი სარგებლით ეველა თაობას თავის დროზე ერთ-გვარად უნდა ესარგებლა. მაგრამ ჩვენ ეხლა რასა ვხედავთ? ჩვენმა, ეველაფერში წინ-დაუხედავმა და შთამომავლობისთვის უზრუნველმა მამებმა იფიქრეს, ჩვენ შემდეგ ქვაქვაზედაც ნუ დარჩენილაო და ემებში აღებული საშვილი-შვილო ფულები სულ ერთიანად თვითონ მიჰფლანგეს! იმათ აზრადაც არ მოსვლიათ, რომ შვილებისთვისაც შეენახათ რამე, რადგანაც იმათაც ცხოვრება დასჭირდებოდათ. ესეთი ფიქრი მხოლოდ ზოგიერთ საუკეთესო მამებს მოუვიდათ თავში, რომელთაც სხვებსაც ჩააგონეს, რომ ემებში აღებულ ფულებიდგან ცოტაოდენი მაინც გადაედოთ და ისეთი რამე დაეწესებინათ, რაც შთამომავლობასაც გამოადგებოდა. ამ გონიერ მამებს, მართალია, ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა, მაგრამ მაინც კეთილი და სამართლიანი აზრის მომხრეებმა სძლიეს და თავიანთი ფიქრი აღსრულებაში მოიყვანეს. თავად - აზნაურობამ ქუთაისისა და თბილისის გუბერნიისამ, ფულების მიღების დროს, დასტოვა საზინაში ნაწილი მხვედრი ფულისა. ამ ფულებიდგან შესდგა ის ჯამი, რომელიც შემდეგ გახდა ქვა-კუთხედ ჩვენი საადგილ-მამულო ბანკებისა. ერთი სიტყვით, ასე თუ ისე, ზოგიერთ ჰირების მეცადინეობით, დაწესდა ჩვენში ორი ბანკი, ერთი თბილისში და მეორე ქუთაისში.

ეველანი ჰფიქრობდნენ, რომ ეს ბანკები დიდ სარგებლობას მოუტანდნენ ქვეყანას და სწორეთაც ასე უნდა მოხდარიეო, მაგრამ ვაი თქვენს ტყერს! ჩვენი გამოუცდელნი და უანგარიშო მშობლები, რაკი გლეხებში აღებული ფულები გაათავეს, მივარდნენ და ეველაფერი, რაც კი რამ დარჩათ, ემების ჩამორთმევის შემდეგ სულ ერთიანად ამ ბანკებში داااგირავეს. ამასთანავე, რადგანაც ისინი მომჭირნეობასა და ფულების გონივრად მოხმარებას დაჩვეულნი არ იყვნენ, ბანკებიდან ნასესხი ფულებიც სულ ერთიანად ისევე მიჰფლანგეს, როგორც ემები აღებული. ამ გვარად, რაკი ეველაფერი داااგირავეს და გამოხსნაც ვეღარ შესძლეს, თვითონაც რიეეზე დარჩნენ და თავიანთი შთამომავლობაც გააღატაკეს, გადარჩა მხოლოდ ზოგი ერთა მამული, რომლის داااგირავება კანონით შესაძლო არ იყო, მაგრამ ისინიც მომეტებულ ნაწილად კერძო ვალით არიან داااტვირთულნი და ეხლანდელ ჰატრონის სახელს მხოლოდ დროებით ატარებენ; დღეს თუ სკალ ისინიც ხელიდგან გამოეცლებათ და ცარიელზე დარჩებიან. ასე და ამ გვარად ერთმა თაობამ ჩანთქა და მოინელა თითქმის ეველაფერი, რაც-კი ჩვენ წინა-ჰართ შეეძინათ და საშვილი-შვილოდ, სამკვიდროდ, داااტოვებინათ.

ერთად-ერთი კეთილი შედეგი ჩვენი საადგილ-მამულო ბანკების არსებობისა ის იყო, რომ ამ ბანკების იმედით داااარსდა თბილისში და ქუთაისში თითო სათავად-აზნაურო სკოლა, რომლებსაც ბანკების მოგება რიგიანად გაუძღვებოდა. შთამომავლობასაც მხოლოდ ეს სკოლები-ღა დარჩათ სანუგეშოდ, რადგანაც ეველას ის იმედი გქონდა, რომ ეს სკოლები წარმატებაში შევიდოდნენ, თან-დათან გაიზრდებოდნენ, სრულ სასწავლებლად გარდიქცეოდნენ და ჩვენ უჰატრონოდ და უნუგეშოდ დარჩენილ შვილებს სწავლა-განათლებას მაინც შეჰმენდნენ, რათა ცოდნით და სწავლით მაინც შესძლებოდათ თავის დარჩენა და საცხოვრებელის შოვნა. სხვა თვალ-საჩინო ჩვენ ბანკებს ჯერ-ჯერობით არა გაუკეთებიათ-რა. მაგრამ, სამწუხაროდ, ბედმა ამ სკოლებსაც უმტეუნა. თბილისის სათავად-აზნაურო სკოლა, როგორც ვიცით, ჰირველად წარმატებაში მიდიოდა და, ოთს მოსამზადებელ კლასებს გარდა, ხუთ საგიმნაზიო კლასამდის გაიზარდა. სამი კლასიც რო მოჰმატებოდა, სრულ გიმნაზიად გასდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მომატების ნაცვლად, ზემოდგან მოეოლილი სამი უმაღლესი კლასი ზედი-ზედ დაჰკეტეს. ამ გვარად დღეს ხუთის ნაცვლად მხოლოდ ორი დაბალი კლასი-ღა დარჩა, მაგრამ ვგონებთ, არც ამათ მოელის უკეთესი ბედი. ქუთაისში-კი დღემდის სრული ოთს-კლასიანი ჰროგიმნაზია არსებობს, მაგრამ ჯერ არც ეს სკოლაა დამეარებული მტკიცე საფუძველზე, ბევრი მოთქმა-მოთქმა ისმის მისი ბედის შესახებ, და არავინ იცის, რითი გათავდება ეს მითქმა-მოთქმა.

თუ ეს სკოლებიც მოისპო, ჩვენი შთამომავლობა სრულიად უნუგეშოდ უნდა დარჩეს, ჩვენი მშობლების უზრუნველობის წეალობით. იმათ არც აღზრდის საშვალება ექმნებათ და არც სხვა გვარი ცხოვრების სახსარი.

სრული იმედი გვაქვს, რომ წრეევანდელი საზოგადო კრება ჩვენი ბანკებისა ჯეროვან ეურადღებას მიაქცევს ამ მდგომარეობას და ჩვენი თავად-აზნაურობა, კეთილ-შობილურის გრძნობით ანმსჭვალული, თავის ვალს შთამომავლობის წინაშე კეთილ-შობილურადვე იკისრებს და გარდაიხდის და თავის საკუთარ სისხლს და ხორცს განსაცდელისაგან სამუდამოდ დაიხსნის. თუ ჩვენმა საადგილ-მამულო ბანკებმა ორიოდე სკოლის რიგიანად გამართვა და შენახვა არ ითავეს და ვერ შესძლეს, მაშინ, სწორედ მოგახსენოთ, ისა სჯობდა, სრულიადაც არ გაჩენილიეენენ მარტო მისთვის, რომ ჩვენი თავად-აზნაურების მამულები داااეირავებინათ და გაეიდვის დროს დალალობა გაეწიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი მეგობარს*).

ქალო, შენი წერილი
მემახვილ-მეისარა!..
ის ვარ, რაც არ გგონივარ,
რაც გგონივარ, ის არა!

—

მეუბნები: „შენ სწუნობ,
თუ გწუნობს ქვეყანაო?
რათ გამხდარხარ ყველასთვის
რალაც გამოცანაო?

—

თუ ჭკუა გაქვს, დიდება
რათ ვერ შეიძინეო?
თუ გრძნობა გაქვს, მოყვრები
რათ ვერ გაიჩინეო?

—

თუ არა გაქვს არც ერთი,
მაშ რაა ის ძალაო,
რომლის გამოც ამ ხალხმა
შენზედ მოიცალაო:

—

ყბად აგიღო, ცილს გწამებს,
ამბობს ათასს რამესაო;
გიშორებს და იმ „შორსაც“
გიშხამავს სიამესაო?!

—

არ მოგწყინდა ამდენი
ტანჯვა-მოთმინებაო?
გკითხავ და გთხოვ პასუხსაც—
ხელთ მაქვს ამის ნებაო!“

—

ამ სიტყვებმა, დობილო,
მიმიმატეს ჭირი-ჭირს!
შენც რომ ჰფიქრობ სხვებსავით,
ის მაწუხებს და მიკვირს:

—

სხვამ, რაც უნდა, ისა სთქვას
შენ-კი, მსურს, რომ მიცნობდე
და ჩემ გულის პასუხებს
მუდამ თანაუგრძნობდე.

—

ნუ გიკვირს, რომ არა მაქვს
სულყველასთან თანხმობა!
სწორს დაევეძებს არა მსურს
ბატონობა.. არც ყმობა!

—

ვკიცხავ, ვსდევნი და ვყვედრი
ქვეყნის უკულმართ ბრუნვას
და ბიწიერებად ვრაცხ
პირადობაზე ზრუნვას!..

—

მე მგონია, მისთვის ვართ
ქვეყნად მოვლინებული,
მაცხოვარი რისთვისაც
იქმნა ჯვარზე ნებული!

—

გინდ ცამდისაც ამაღლდეს,
კაცი რა არის?—ჭია!..
რაც ბრწყინავს—ფუტურა!
გარეგნობა—ფუჭია!..

—

კმარა კაცისთვის მხოლოდ
ღვთის მსგავსება—ხატება!..
ამ ციურ ნიჭს ამ ქვეყნად
სხვა რა დაემატება?!

—

ეს არის ჩემი რჯული
და ჩემი აღსარება!..
და მგონია, რომ კმარა
ქვეყნად ეს ნეტარება!

—

მართალია, ხორციელს
არ აქვს თავისუფლება
ხელ-ფეხს უკრავს სხვა-და-სხვა
დამოკიდებულობა

—

და ვინც ახსნას არ სცდილობს
ჩემებრ უბედურია
სხვები ნაღველს ასმევენ,
შარბათი რო სწყურია.

—

მაგრამ რა ექნათ, ეს ტანჯვა
ყველა მუშაკთ წესია
და ვერც მე ვუღალატებ,
ვისთვისაც ბიკვნესია!

*) ეს ლექსი გადმოგვცა ერთმა პატივცემულმა მანდილოსანმა, რისთვისაც გულითად მადლობას ვუძღვნით.

რედ.

დეე დამგმოს ქვეყანამ,
გამიმეტოს, გამკიცხოს!
თავი ბრძენი ეგონოს,
მე გიჟებში ჩამრიცხოს!..

—

ვერ ეუმუხთლებ მე მაინც
ამ ჩემ გრძნობა-გონებას!
ვერ ავიტან ცხოვრების
ბრძანებას და მონებას!..

—

ხელს არა ვჭყოფ გარეგნად
გაბრწყინვებას და მკობას!
ვერ დავუთმობ ვერავის
შინაგან აკაკობს!..

აკაკი

1871 წელს.
14 იანვარს
ქუთაისი.

ხჟა პროვინციიდამ.

ღვთის მადლით გავისტუმრეთ წლეულანდელი ზამთარი, რომელსაც აგერ თან მისდევს გიჟი და დაუდეგარი მარტიცა. გაივლის კიდევ სულ ორიოდ-სამი დღეცა და ყელ-მოღერებულ ათას გვარ იმედებით საცვე გუთნიდედას კარებს დაუკაკუნებს მშვიდი და წყნარი აპრილი. რაკი აპრილის გამოცოცხლებული სუნი მიუვა ხოლმე ჩვენს კაცსა, ის მაშინ წელში იშლება, თავისუფლად წყობულობს სუნთქვასა და წარსულ სუსხიან თვეებს თამამად გადახედავს ხოლმე. ახ, რავდენი ეაი-ვაგლახი, რავდენი ტანჯვა-მწუხარება გამოგვატარეს ამ სუსხიანმა თვეებმა! შაე-და-უკულმა იყვეს წლეულანდელი ზამთარი, მისი თავიცა და ბოლოც!.. ხომ გინახავთ, ჩემო ბატონო, იმისთანა კაცი, რომელსაც სახე ანგელოზისა აქვს, გული-კი ბოროტებით საცვე კუდიანისა. სწორედ ამისთანა სულ-დგმულსა ჰგავდა წლეულანდელი ნახევარ წელიწადიცა. სიხარულით ცას ვეწეოდით, როდესაც ზამთრის პირველ ხანებში აქეთ-იქით ვიცქირებოდით და ჩვენს გარეშემო არც ყინვას გაუდიოდა ტკაცა-ტკუცი, არც გაონავრებული ქარიშხალი გვაქცევდა თავზედ ბანსა და ერდოს. მათ ნაცვლად ბრწყინვალე მზე მოკრიალებული ცოდამ თავის მადლიან სხივებს უხვად გვაყრიდა და ირგვლივ-ბუნებისა და კაცთა ცხოვრებაში—მშვიდობა და მყუდროება ჰსუფევდა. გვაგონდებოდა შარშანდელი საშინელი ზამთარი, მისი სწორეთ ჩრდილოეთური ყინვები და მხიარულის გულით ულოცავდით ერთმანეთს თბილი და მშვიდობიანი ზამთრის დაწყებასა. მაგრამ, აგერ გავიდა კიდევ რამდენიმე ხანი და უცებ ყოველის მხრიდამ წამოგვესია სხვა-და-სხვა სნეულებანი და ავადმყოფობანი. კაცს ეგონებოდა—ზღაპრული ჯანაბის კარი ვისმეს ღია დარჩენიაო, მარში შეგროვილი ბოროტებანი კარზედ გამოცვინულან და დედამიწის ზურგს ჯიანჭველასავით მოსდებიანო. საოფლე, ჭვალი, ქუნთრუშა, წითელა, ყალათმა და სხვანი მეტად ხშირად გვეწვეოდნენ ხოლმე ამ ზამთრის განმავლობაში. მაგრამ ყველაზედ მომეტებული ალიაქოთი ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში მოახდინა ახალ მოდურმა, ჩვენგან მხოლოდ წელს გაცნობილმა, ავადმყოფობამ, რომელსაც „ინფლუენციას“ ეძახიან. ამ მოულოდნელ მტერს ხალხი სრულიად მოუმზადებელი დახვდა. მისი არა იცოდა-რა, მის საწინააღმდეგოთ არავითარი იარაღი არ ეჭირა ხელში. წინა-პირველად ზოგს ხველა-სურდო ეგონა, ზოგს უბრალო ციებ-ცხელება და ამის გამო განსაკუთრებულ ყურადღებას მას თითქმის არავინ არ აქცევდა. სხვათა შორის ამიტომაც მალე მოედო მთელს ჩვენს მხარესა. ქალაქ ადგილას, ცოტათ თუ ბევრათ, ექიმები შველოდნენ ავადმყოფებს, თუმცა კი სამგლოვიარო ზარის რეკა თითქმის ყოველ დღე ისმოდა იქაცა. ჩვენს უბედურ სოფლებს კი ცუდი, მეტათ ცუდი დღე გაუთენა ამ შეჩვენებულმა. უმეცრებისა და გაუფრთხილებლობის გამო მოხსენებული სენი ფილტვების ანთებად გადიქცეოდა ხოლმე და შეუბრალებლად იქლიტებოდა ხალხი. ყურის მგდებელი, მშველელი მას სრულიად არავინ არ გამოსჩენია და ისე, ღვთის ანაბარას იყო მიგდებული მთელი ზამთარი. მაზრის ექიმები რათ შეიწუხებდნენ თავსა! რა იმათი საქმე იყო, რომ მალი-მალ გასულიყვნენ სოფლებად და ჯეროვანი შემწეობა აღმოეჩინათ გაჭირვებულთათვის. მერმე, ვინღა ითამაშებდა ქაღალდს! ვინღა გადაჭკრავდა ოტკანუნუას? მაგრამ ან კი რა გასაკვირველია, რომ უცხო ტომის კაცს, ცხრა მთას იქიდამ გადმოვარდნილს, გული არ შესტკიოდეს ჩვენი ხალხისათვის! საკვირველი ის არის, რომ არც ერთმა ჩვენმა ექიმმა ხმა არ ამოიღო ამ ავადმყოფობაზე... განა არ შეიძლებოდა, რომ ადვილის ენით სასარგებლო რამ დარიგებანი დაწერილიყვნენ მის შესახებ? განა არ მოხერხდებოდა, რომ ამ გვარი დარიგებანი ან პირდაპირ და ან მთავრობის შემწეობით მღვდლებსა და სოფლის მასწავლებელთ დარიგებოდათ იმ მაზნით, რომ მათ ერთათ შეგროვილის ხალხისთვის წაეკითხათ ისინი? რაღა თქმა უნდა, რომ აქ შეუძლებელი არა არის-რა! მაგრამ საქმე გულია, ჩემო კარგო, გული! თუ რაიმე მადლი უტრიალებს ადამიანს გულში, ის ყველაფერს მოახერხებს, ყველას გააკეთებს... და თუ ამ მადლის ადგილი კანონსა და ანგარებას დაუჭერიათ, ის ორ-ფეხა ცხოველი ვერაფერ სიკეთეს ვეღარ მიხვდება, გარდა პირუტყულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა. ამ ვაჭბატონების გზასა და კვალს მიჰყვნენ ჩვენი გაზეთების რედაქციელებიც. ამ ზამთრის განმაღლობაში ბევრი რამ კარგი სთქვეს ამ უკანასკნელთა. ვგონებ არც ერთი საყურადღებო მოვლენა გარეშე, თუ შინაურ პოლიტიკისა არ გადარჩენიათ აღუნიშვნელად. ვინ იტყვის, რომ ამ გვარ საგნებზე ბაასი საჭირო არ იყვეს! მაგრამ ერთი ე თქვენ გარეშემოც მიიხედ-მოიხედეთ, თქვე დალოცვილებო-და! დაინახეთ-რა ამბები ხდება მათ შორის, რომელთაც თქვენ ქვეყნის საძირკველს ეძახით, „ქრისტეს მიერ ძმებათ“ აღვიარებთ! ძნელია, ჩემო ხელმწიფევ, მეტათ ძნელია ნახვა უმწყემსური ცხვრის ფარისა, რომელსაც ყოველის მხრიდამ კბილებ დაღრენილი ნადირები შემოხვევიან?.. გულ-მოსაკლავი ბღავილი ცამდის ადის და სისხლი უპატრონო მსხვერპლებისა წითლათა ღებავს არე-მარესა. ამაზედ ერთი ოცად და ერთი ასად უფრო ძნელია ყოველ დღე ცქერა ღვთის ანაბარას მიგდებულის სოფლისა. უკიდურესმა სიღარიბემ და უპატრონობამ ლამის სული ამოხუთოს მის უბედურ მცხოვრებლებს. რაოდენიც დრო გადის, იმდენი უფრო უტყდება ხალხს გული, უსუსტდება ჯანი, წრიოკდება აგებულებით. საღა შეხვდები იმ სასიამოვნო სიმღერა-თამაშობას, იმ გატაცებულ მხიარულებას, რომელთაც ჩვენებურ სოფლებში ყოველ ბედნიერ დღეს ნახავდა ადამიანი ეს ოცი, ოცდა-ათი წლის წინათ. მათ ნაცვლად მთელი წლეულანდელი ზამთარი მწუხარებისა და ვაების ხმა ისმოდა ყოველის მხრიდამ. ერთგან ძუძუებ დამწვარი დედა დასტიროდა თავის ჭარუმადაგ შვილის კუბოსა, მეორედგან მცირე წლოვანი ბავშვები დაბღაოდნენ თავიანთ ერთად-ერთ მარჩენელ მოამაგე მამასა.. აქ მღვდელი გარბოდა შეწუხებულის საზიარებლად, იქ თავ-ჩაღუნული გლეხი ნელ-ნელა სთხრის მეზობლის საფლავსა! ამ გვარ მდგომარეობაში მყოფ ხალხს, რაღა თქმა უნდა, გულიაღარაფრისა არ ექნებოდა; ამიტომაც როგორათაც ძღებამ, ისე ყველიერმა მეტად უფერულად ჩაიარეს წელსა! „მადლობა ღმერთს, ეამბობდით ჩვენს გულშია,—ეს ყველიერიც გავისტუმრეთ! ახლა კი ღმერთი გეშველის: დღეს თუ ხვალ მიძინებული ბუნება ხელ-ახლად გაცოცხლდება და დიდებული მკურნალი ადამიანის სულისა და სხეულისა—გაზაფხული მადლიანის ღიმილით თავს დაგვიკრავს!.. ასე ეფიქრობდით და სიამოვნებით შევსცქეროდით მარტსა, რომელიც ნელ-ნელა გვიახლოვდებოდა. მაგრამ იმისთანა დღე ღმერთმა თქვენს მტერსაც ნუ გაუთენოს, როგორიც ამ გაზაფხულის პირველმა თვემ ჩვენ დღე გაგვითენა! მარტის ათს უეცრად გაისმა მეტად შემაძრწუნებელი ხმა, რომელმაც სულ მთლად დაგვაიწყა ჩვენი წინანდელი საპირადო და კერძო მწუხარებანი. წელში მოკალულ ერს, დაჩაგრულ ქვეყანას ერთი საიმედ-ნუგეშო მზრუნველთაგანი მოჰკლებოდა. დაუღალავს მოღვაწეს, ჭეშმარიტ ქართველს, პატიოსნებით საცვე კაცს სული ამოსვლოდა. ესეთია ეს მუხთალი წუთი-სოფელი!.. თუ ერთი უკულმა გადუტრიალდა ბედის ჩარხი ადამიანსა, დიდხანს იტრიალებს ხოლმე ის ასე უკულმა...

ჰროვინციელი

დაგვიანებული პასუხი.

ბატ. დ. ხ. და სოფლის მასწავლებლის ექვ. მ—ძის წერილებმა (ივ. № 270—1889 წ. №№ 11 და 27—1890 წელ.) იძულებული გამხადეს კიდევ შეეხო იმ საგნებს, რომელიც ჩემგნით იყო მოყვანილი გაზ. ივერიაში: ერთი—შესახებ „იმისთანა სოფლის სკოლის დამხმარებელი საზოგადოების დაარსებისა, რომელსაც აზრათ ექნება: 1) დაარსოს სახალხო წიგნთ-საცავი, 2) გამართოს სახალხოთ წიგნების კითხვა, 3) დაუნიშნოს სტიპენდია იმ ღარიბ მოსწავლეს, რომელსაც შეუსრულებია სწავლა სასოფლო სკოლაში და სურვილი აქვს განაგრძოს სწავლა რომელსამე პროფესიანულ სასწავლებელში. ამ აზრის ასრულება ადვილი იქნება, თუ ამ მეტათ სასარგებლო საქმეს ხელი მოჰკიდა და ითავა ჩვენმა „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“. ახლა დრო და ადგილი ნებას არ მაძლევს გავიმეორო ის საშუალებანი, რომელნიც გაუადვილებენ წ.კ.გ. საზოგადოებას ამ აზრის ასრულებაში მოყვანა (იხ. ივ. 1888 წ. 31 დეკემ.)

მეორე—შესახებ იმისთანა სოფლის მასწავლებლების დამხმარებელი საზოგადოების დაარსებისა, რომელსაც აზრათ ექნება სოფლის მასწავლებლების ნივთიერი დახმარება. ჩემის აზრით, ჯერ-ჯერობათ მხოლოდ ამ აზრების განხორციელება შეადგენს ერთს უმთავრეს საგანს, რის ძალითაც უფრო დავუახლოვდები ჩვენი სასოფლო სკოლების მიზანს.

ახლა დაუბრუნდეთ ბატ. დ. ხ. და სოფლის მასწ. ექვ. მ—ძის წერილებს. პირველი გვეუბნება: „რათ მითხარით, რომელი წიგნების კითხვა სჯობია ხალხის ცხოვრების დაკვირვებასაო“, ანუ, ჩვენა ვსთქვათ, ერთ საუკეთესო ჭკუის საზრდოს შეადგენს ხალხის ცხოვრების დაკვირვებაო. ამ შემთხვევაში არ შეგვიძლიან არ დაგეთანხმოთ, ბატ. დ. ხ.—ს, მაგრამ სოფლის მასწავლებლები რო უკვირდებიან ჩვენი გლეხ-კაცების ცხოვრებას, ამას ცხადათ გიმტკიცებთ სოფლის მასწ. ექვ. მ—ძე, რომელმაც თითოეთითოთ ჩამოგითვალათ ჩვენი გლეხ-კაცების დღიური ვაი-ვაგლახი. ესეც რომ არ იყოს, ნუ თუ, თქვენისავე სიტყვით, „სოფლის მასწავლებელი—ერთად-ერთი განათლებული გაუნათლებელთა და უმეცართა შორის“,—გაექცევა ამ ჭკუის საზრდოს მაშინ, როდესაც თვით გარემოება აყენებს სოფლის მასწავლებელს პირის-პირ გლეხ-კაცებთან? გაქცევით არ გაექცევა, მაგრამ ისე გულიანად ვერ დასწაფებია, ვერ მოუნელებია, როგორც გვინდა. ამის მიზეზი, ბატ. დ. ზ. გარდა ექვ. ძ—ძის) სიტყვებითაც, გახლავთ ისა, რომ ვერც ერთი ჩვენგანი გულიანად ვერ ჩაიგემრიელებს საუკეთესო სანოვაგეს იმისთანა საყინულეში, საცა სიცივე კბილი—კბილს აცემინებს. ამისთანაევე დღეშია ჩავარდნილი დღეს ის განათლებული სოფლის მოღვაწეც, რომლისაგანაც მოველით, შეძლების დაგვარათ, ჩვენი გლეხ-კაცების ცხოვრების გაუმჯობესობას. ძნელათ იპოვნით იმისთანა გლეხ-კაცს ჩვენ სოფლებში, რომელიც დღიურ ლუკმად მეტს არა შოულობდეს, ვიდრე სოფლის მასწავლებელი. გარდა ამისა პირველს სიბერის დროს მაინც მოეპოვება ლუკმა პური, მაგრამ სოფლის მასწავლებელი ამ ხანში სიღატაკის მეტს არას მოელის, თუ-კი თატაკის მძიმე უღელს სვინიდისიანად ატარებს, სანამ ძალა და ღონე მიზდევს.

აი ჩაერია სოფლის მასწავლებელი გლეხ-კაცებში, მოისმინა ყოველი ამათი ვაი-ვაგლახი. ახლა ვის ვაი-ვაგლახს გაუძღოს: თავისა და თვეის ცოლ-შვილის (ვგონებ, ბატ. დ. ხ. სოფლის მასწავლებელს ბერობის ცირკულიარს არ უწერს) ვაი-ვაგლახს, თუ გლეხ-კაცების ვაი-ვაგლახს? ნამეტნავად მაშინ, თუ სამი და ოთხი თთვე ჯამაგირი არ აუღია და სცდილობს ორი გროში ისესხოს სადმე ჯამაგირის აღებამდინ. თვეში ოცი და ოცდა-ხუთი მანეთი არამც თუ ნებას არ მისცემს სოფლის მასწავლებელს, რომ გადასდოს შაი დღისათვის, არამედ არც-კი დაკმაყოფილებს განათლებული კაცის მოთხოვნილობას.

სოფლის მასწავლებლები, ვისაც-კი სურს ჩვენი სოფლების გაუმჯობესობა, ამ ერთი უმთავრესი ეროვნების ძარღვის გამაგრება, უნდა იმისთანა მდგომარეობაში ჩავაყენოთ, რომ ჯამაგირს გარდა ნივთიერ მოთხოვნილობაზე სხვა ფიქრი არა ჰქონდეს-რა. ეხლა-კი ჩვენდა სამწუხაროდ სხვა-და-სხვა ეს გარემოებები ისე საგრძნო-

ბელათ სცემენ სოფლის მასწავლებელს გვერდებში, რომ ხშირათ აუძლურებს და ამ უძლურების გამო ავიწყებინებს თავის წმინდა მოვალეობას.

ახლა მივმართოთ სოფლის მასწავლებლობის გულ-შემატკივართ. ჩვენი ჩიეილი ეს არის: დაგვეხმარენით, შეეადგინოთ აქ მოყვანილი საზოგადოების პროგრამა. მოგვეცით რჩევა, დარიგება. ჩვენ არც დრო და არც გარემოება ნებას არ გვაძლევს ეისარგებლოთ სხვა-და-სხვა ამ რიგ საზოგადოების წყაროებით.

აქ არ შემიძლიან უყურადღებოთ დავსტოვო სოფლის მასწავლებლის ექ. მ—ძის შემდეგი სიტყვები: „რამდენჯერ მახსოვს, დალალული, დაქანცული გამოვსულვარ კლასიდგან, როდესაც მომგონებია ასი შეთუთხნული, დაბლაჯნილი რვეული, გასასწორებელი, სულით დაცემულვარ და მომსელია აზრათ, მოვისროლო ეს რვეულებიც და შევაფურთხო ამ უჩიტლობასაც“. ამის პასუხათ მხოლოდ იმას მოგახსენებთ, რასაც ეტყოდით თქვენ იმისთანა მკურნალს, რომელიც დალალული, დაქანცული გამოვა „საოპერაციო ოთახიდგან“ და თავის სახსოვარ წიგნში ამოიკითხავს რამდენსამე დასახელებულ ავადმყოფის სახელს, გადისვრის თავის სახსოვარ წიგნს (пам. книж.) და ავადმყოფს თავს მიანებებს...

სოფლის მასწავლებელი.

1890 წელ. 10 მარტ.

ს. ხოვლე.

ალარა ეშველება რა.

IV*)

ყოჩალათ იყო ჩვენი ბებერი, როცა წელან კარების სახელურს ხელი წაავლო. სულ რიგსა და რიგზე ჰქონდა დალაგებული მოსახსენებელი აზრები და სიტყვები. მაგრამ, შესდგა თუ არა ოთახში ფეხი, მაშინათვე ჯერ ყველაფერი ერთმანეთში აერია და მერმე სადღაც ჯანაბაში ჩაემალა და გაუქრა. ყეყჩივით თვალებ დაბუეტილი გაშეშდა ერთ ადგილას და გაშტერებით დაუწყო ცქერა მის წინ გადაშლილ მოლაპლაპე დახატულ იატაკსა. ეს წყეული რაღაც ნაირად გაეჩხირა თვალებში და ალარაფერზედ ფიქრის ნებას არ აძლევ ა... „ნეტა, რა უნდა იყვეს ასეთი მშვენიერი,— ჰფიქრობდა ბებერი—ნეტა ერთი ხელი დამაკარებინა! ნაქსოვი უნდა იყვეს, თუ ნაკერი? . აი დასწყეველა ეშმაკი?.. ნახატია, ნახატი!.. აფსუსი არ არის, რო ამაზე ფეხებით დადიან? იჰ, რა ყოფა აქვს ი ბუხარსაცა-და! რა კოხტაა ი წყეული?! ჩემი ბუხარი?..“ აქ მისი აზრი გადაფრინდა გაჭვარტლულ, ჩამონგრეულ ბუხართან და უცებ მოაგონდა, თვალ-წინ ცხადათ წარმოუდგა ამ ბუხრის გვერდზედ მწოლარე ავადმყოფი. „უი შენს დედას, შვილო!“ გმინვა-მწუხარებით ხმა-მაღლა წამოიძახა ბებერმა. ამ ხმამ ყველანი გააოცა, ყველანი ერთბაშად მიახედა კარებისაკენ, სადაც უძრავად, თითქო ცხედარი აუყუდებიათო, ატუზული იდგა ჩვენი ბებერი.

— ქაა, ვინ არის ე დედაკაცი? დაიძახა გასიებულმა მანდილოსანმა.

— ბიჭოს! . საიდამ გაგვიტყვრა ე ბებერი? მიჰბანა მას დედ-ცხვირა კავალერმა. მასპინძელი წამოვარდა ფეხზე და გაჯავრებით დაუყვირა ბებერსა:

— ვინა ხარ, შე ოხერო?.. გიჟი ხარ, თუ ჭკვიანი?

— არა, შენი მუხლების ჭირიმე!.. აქამდისინ ჩემი სიგიჟე არავის არ უთქვამს; ეხლა კი ისეთი ცეცხლი მიკიდია გულზედა, რომ მიკვირს: რატომ მართლა არ გავგიჟდები!..

— ალბათ ავათა ჰყავს ვინმე მაგ საცოდავსა.. სთქვა ახალგაზდა სტუმარმა ქალმა.

— ჰო, გენაცვალე ქალბატონო! დიახ, ცასა და ქვეყანაზე ერთად-ერთი შვილის მეტი არა გამაჩნია-რა! ისა მყავს შეწუხებული... ბატონო დოხტურო, შენი ცოლ-შვილის სადღეგრძელოთ, მიშველე რამე... ტირილით წარმოსთქვა ბებერმა, დაეცა მუხლებზედ და ჩოქით წავიდა ექიმისაკენ.

— რას ტუტუცობ, ბებერო!.. დაიძახა ერთმა სტუმართაგანმა—რომელი ოხერი გამოგყვება ემისთანა ლამეში?

— ერთი, თავიდამ მოგეშორდი, შენ გაზრდასა-და!.. იოხუნჯა ვითომ მეორე სტუმარმა.

— აი, ფეხი მოგტყდეს შენა, ფეხი!.. თვალების ბრიალით დაიძახა მესამემ, თუმანში ჩაეჯექ!..

— გააღე კარები და ჰერი... არ შემიძლიან წამოსვლა. მრისხანებით უთხრა ბებერს ექიმმა.

— სადღა უნდა წავშავდე და წავბნელდე, საცოდავათ დაიბღავლა ბებერმა—შვილი მიკვდება, შენი ჭირიმე, ჭარუმადაგი შვილი... ბებერი დაეცა პირ-ქვე და იწყო გულ-გასაგმირი ქვითინი. ამ ამბავმა მეტად შეაწუხა ახალგაზდა სტუმარი ქალი, მიუბრუნდა ექიმს და რუსულად უთხრა:

— დავით ფეოდოროვიჩ! გაჰყვეით; ცოდოა ეს უბედური დედაკაცი!

— ვა, გავყვე, რა ოხერი, სათრეველა დოქტორი ვარ! წყრომით დაიძახა ექიმმა. განა სხვები არ არიან დოქტორები? ამასთანავე, ათასი გადამდები მოარულები დადიან... ერთიც ვნახოთ, აეითრიო და მოუტანო ჩემ ცოლ-შვილს... აგერ ტროფიმოვიჩი! უცოლ-შვილო კაცია, ის წაიყვანოს რა!..

— ის უცხო კაცია, შენი კვნესამე—სთქვა ბებერმა—ვერაფერს გავაგონებთ. გაძლევ თავდებათ აი მაღალ ღმერთს, რომ ჩემ შვილს გადამდები არა სჭირს-რა! ჭვალითა არის გათანეული, ჭვალითა... მერე თქვენ იმიტომ მოგატანეთ, რომ ჩემ მიხას იცნობთ თქვენა...

— ვინ მიხაა? ვის ეიცნობ? უკმეხად იკითხა ექიმმა.

— აი, გუშინ-წინ რომ მთელი დღე თქვენსა დურგალი მუშაობდა, ისა შენი ჭირიმე!..

— უი საწყალი! წამოიძახა ექიმის მეუღლემ... წადი გენაცვალე, დათიკოჯან!..

— ის კაი მუშა ბიჭია... დაბალის ხმით სთქვა ექიმმა,—წადი ბებერო, მალე მიხედე ავადყოფსა სად მეც დიდხანს არ დავიგვიანებ: ერთი საათის შემდეგ წამოვალ... ბებერი სიხარულით გიჟს დაემსგავსა: ჯერ ტირილი მოართო და მერმე ღრიალით ეცა ექიმის ხელებს საკოცნელადა.

ექიმმა ღიმილით შეაყენა და უფრო დაბალის ხმით გაუმეორა:

— წადი, წადი, მიხედე შენ შვილსა... კუხნაში შეიარე და ჩვენ ბიჭს ასწავლე შენი სახლი.

ექიმი და მისი სტუმრები ისევ ქალალდის თამაშობას მიუბრუნდნენ... ჩვენი ბებერი კი გულ - დამშვიდებული გამოვიდა ოთახიდამ, იპოვნა ბიჭი და ანიშნა თავისი სახლი...

— იქ ხომ მიხაკა დურგალი დგას! გაოცებით წამოიძახა მოსამსახურემ, როდესაც ბებერმა გაათავა თავისი სახლის ჩვენება.

— ჰო-და კიდეც ის მიხა მყავს ეხლა შეწუხებული!.. უთხრა მას ბებერმა.

— იცი, დედი!.. სულ ამ ჩემი ბატონის ბრალია მიხაკას ავათ გახდომა — დაურთო მოსამსახურემ. — იმ დღეს, ამ ყინვასა და სიცივეში, მთელი დღე ბალკონზე ამუშავეს და ერთი სტაქანი არაყიც კი არ დაალევინეს...

— ოი, ჩემი ცოდით... დაიწყო ბებერმა და ალარ გააათავა. გამობრუნდა უკან და წელანდელი ალაყაფის კარებით ნელ-ნელა გამოვიდა ქუჩაში.

— იჰ!.. გული ცოტათი დამიმშვიდდა,—სთქვა ბებერმა და გასწია სახლისკენ. უცებ გაუცურდა ფეხი და მთელი ტანით გაიშხლართა მიწაზედ. წამოდგა, გაიარა ცოტაოდენი გზა და ხელ-ახლად წაჩოქა ტალახში...

— ქაა, ე რა მემართება! სთქვა ბებერმა წყრომით—იქ შვილი მარტოკა გაუშვი და მე კი აქ მთვრალი კაცივით ხან სად ვიფეხვები და ხან სადა!.. მარდათ წამოხტა, დაიბჯინა თავისი ჯოხი და მოუსვა შინისაკენ იმ გვარისაევე სიმარჯვით, როგორითაც შინიდამ მოდიოდა ზემოთა.

V

შუა-ღამე კარგა გადასული იქნებოდა, როდესაც ექიმი და მისი სტუმრები მორჩნენ ქალალდის თამაშობასა. მასპინძელი მანდილოსანი შემოვიდა მეორე ოთახიდამ და მხიარულის თხოვნით მიიწვია სტუმრები ვახშამზედ. „უფრა გაშლილია, მობრძანდით, ჩემო ძვირფასო სტუმრებო! იმედი მაქვს: მცირეზე არ დამენდურებითო“.

გაისმა უკან დაწეული სკამების ბრახა-ბრუხი... სტუმრები წამოიშალნენ და ხუმრობა-ღიღინით გავიდნენ პურისაჭმელ ოთახში, სადაც უკვე გაშლილი იყო ათას ნაირ საჭმელსასმელით სავსე სუფრა. მას გარეშემო შემოუსხდნენ სტუმრები და ის იყო უნდა შესდგომოდნენ თავიანთ საქმეს, რომ ამ დროს ჩვენმა ნაცნობმა ახალგაზდა სტუმარმა ქალმა ხმა-მაღლა დაიძახა:

— დავით ფეოდოროვიჩ, იმ დედაკაცს რომ სიტყვა მიეცით!

— მართლა, წამომძახა ექიმმა,— აკი სრულებით გადამავიწყდა! ბიჭო, ჩქარა ფაეტონი!

— ერთი, ხელი აღე, მამა გიცხონდება,—დაუძახა მას ცხვირ-გასიებულმა სტუმარმა, რომელმაც წელან ისე შნოიანად იოხუნჯა. რა დროს წასვლაა! თუ მოსაკდომი იყო, აქამდინ მოკვდებოდა და თუ დასარჩენია, უშენოთაც დარჩება!..

— არა, ჩემო გალუსტ მინაიჩ!.. უპასუხა ექიმმა,—სიტყვა მიეეცი... პირობას ჯერ გადავალ!.. სთქვა ეს და გასწია კარებისაკენ. კარებთან შესდგა, მობრუნდა უკან და სტუმრებს დაუძახა:

— თქვენ ქეიფი გასწიეთ, შეექეცით და მეც ემ წამში აქა ვარ. ექიმი გავიდა დერეფანში, თბილ პალტოში გაეხვია და გავიდა კარზედა. ჩაჯდა ფაიტონში, რომელმაც საჩქაროზედ გაირბინა სამიოდ-ოთხი ქუჩა და ბოლოს შესდგა ჩვენი ბებერის სახლის წინ. ბებერმა გაიგონა ფაეტონის რახა-რუხი, და მაშინათვე კარებს ეცა... გაღლო და აღტაცებით გამოეგება მისკენ მიმავალ ექიმსა.

— ოი, შენი მოსელის ჭირიმე, შენი!.. შენ გზას ვენაცვალე!.. შესძახა ბებერმა და გაუძღვა წინა. ექიმმა შესდგა ფეხი ოთახში და შეჩერდა. მის თვალს წარმოუდგა საშინელი სურათი სიღარიბისა. სახლი, ანუ, უკედ ესთქვათ, ქოხი ნახევრად მიწაში იჯდა; კედლები ალიზისა იყო, მაგრამ წვიმისა და ქარისაგან ისე იყვნენ ჩამორეცხილ-ჩამოფუშულნი, რომ სახლი სრულიად მიწურსა ჰგავდა. შავად გაჭვარტლული ჭერი ისე დაბლა ჰქონდა სახლს დახურული, რომ ჩვენს, არა ახოვან ტანის, ჯანაოზსაც-კი უძნელდებოდა მის ქვეშ თავაღებით მოძრაობა! ჭერს ზემოდამ, რასაკვირველია, მიწის მეტი არა ეხურა-რა, რის გამოც, გავარდებოდა თუ არა ცას ნამი, მაშინათვე თავისუფლად ჩამოდიოდა მასში და უხვადა რწყავდა თეთრი მიწის დატკეპნილ იატაკსა. აღმოსავლეთით და სამხრეთით ამ ქოხს რაღაც უხვირო შენობები ჰქონდა მიდგმული და ამიტომ მთელი წლის განმავლობაში მზეს სხივები თითქმის სრულიად არ ადგებოდნენ მას. დაუმატეთ ამას ის გარემოებაცა, რომ სახლს ერთი პაწია ჯუჯუტანის მეტი, ფანჯრები სრულიად არა ჰქონდა, და მაშინ ცხადი იქნება ის საძაგელი ბნელის სუნი, რომელიც შესვლასთანავე ცხვირში ეცა ჩვენს ექიმს; ის ნოტიო კედლები და სველი, ტალახიანი იატაკი, რომელნიც ყველასთვის ადვილად შესამჩნევნი იყვნენ. კარების პირდაპირ კედელში გამოჩანდა ვეებერთელა შაი ბუხარი, რომელშიაც უხვეირო ცა ხრჩოლავდა ერთი მოზდილი კუნძი. წამდა-უწუმ ქარი უბერავდა მაღლიდამ, ჩამოდიოდა ბუხარში და გამოჰქონდა გარეთ კომლი. ამ კომლს უერთდებოდა გატეხილ მინიანი ჟესტის პატარა ლამპის ბოლიც და სრულიად იწამლებოდა ისედაც გაფუჭებული ჰაერი. ბუხრის გვერდით ხის დაბალ ბოძებზედ იყო გამართული კარგა დიდი ტახტი, რომელზედაც იწვა ავადმყოფი. თავით მას ედო პატარა ძველი მუთაქა, ქვეშ ეშალა თხელი ჭუჭყიანი ლეიბი. ბევრი უცქირა ამ ტახტს ექიმმა, მაგრამ წინაპირველად იქ ავადმყოფი ვერსად ვერ დაინახა. საქმე იმაში გახლდათ, რომ ტახტის აქეთ და იქით, ავადმყოფის მუხლების გადასწვრივ, ორი პირქვე დამხობილი გოდრები იდგნენ; ამ გოდრებზედ ხიდივით იყო გადებული ერთი ფიცარი, რომელზედაც მოჩანდა რაღაცა ჭურჭლის ნატეხარი. ექიმი გაოცდა, როდესაც გაარჩია ესა და დაინახა მის ქვეშ მწოლარე ავადმყოფი. მას ეს ამბავი ბებრის ამაოდ-მორწმუნეობის ნაყოფი ეგონა და ამიტომ მოინდომა მისი გადაყრ-გადმოყრა. მაგრამ ბებერმა შეაყენა ის და უთხრა:

— ეგ იმიტომ გავაკეთე, — ეს ჭერიდამ წვეთი ჩამოდიოდა და ზედ მუხლებზე ეცემოდა ავათმყოფსა... ეხლა წვეთი აი ნატეხარში გროვდება:.. ექიმი შესდგა, დაუგდო ყური და მართლა ცხადათ გაიგონა წვეთის ერთნაირი, დამაღონებელი „წკაპ“, „წკუპ“, „წკაპ“, „წკუპ“.

— ლამპა ახლო მომიტანე, უთხრა ბებერს ექიმმა,— და მიუახლოვდა ავადმყოფს, დახედა და ქვეითა ტუჩი უკმაყოფილოდ შეათამაშა. გაუშინჯა მაჯა და რავდენჯერმე ჩაახველა. მერე თვალის ქვემოთა ქუთუთო ჩამოსწია და ჩახედა შიგა. „თვალის იერი დაჰკარგვია კიდეც!“ თავისთვის წაიდუდუნა ექიმმა. შემდეგ წელში გაიმართა და დახედა უბედურს. მიფერფლილ სახეს ცოტათი-ღა ეტყობოდა სიცოცხლის ნიშან-წყალი. თვალები ნახევრად დახუჭული ჰქონდა და ოდნავ გაღებული პირიდამ დროგამოშვებით სუსტი ხრიალი ამოსდიოდა. ცხადი იყო, რომ ის ამ სოფელს ალარ ეკუთვნოდა. ექიმი უცებ გამოტრიალდა და წამოვიდა კარებისაკენ.

— მეც გიახლოთ, თუ თქვენ მიბოძებთ? დაუძახა მას საცოდავმა დედამ.

— რისთვის უნდა მიახლო? ან მე რა უნდა გიბოძო? მაგას ალარა ეშველება-რა!.. ბებერი წატოტრტმანდა. პირი გააღო, მაგრამ თქმა კი ველარაფრისა ველარ შეიძლო! ესე პირღია, თვალებ-დაჭყეტილი დარჩა კაი ხანსა; შემდეგ რაღაც ჯოჯოხეთური ღიმილი გადაეფინა მთლად მის სახეს და უცნაურის ბოხის ხმით დაიძახა:

— როგორ? ალარა ეშველება-რაო? ვისა, ქაა? ჩემ მიხაკას ალარა ეშველება-რა?.. ვინა სთქვა, ვინ? ერთი მიჩვენეთ ისა-და!.. ალარა ეშველება რაოოო!.. ხა, ხა, ხა!..

ექიმი უკვე ფაეტონში ჯდებოდა, როდესაც ამ სიცილს ყური მოჰკრა; წარბები უკმაყოფილოდ შეიკრა და ბუზღუნითა სთქვა:

— ხედამთ იმ უმადურ ქოფაკსა?.. ალბათ მე დამცინის. მაშ, მოიცა ერთი-ორიოდ წამი!.. მაშინ დაეინახავთ, როგორ სიცილსაც მოჰყვები.

ფაეტონი ისევ უკანვე გაჰქანდა... პატარა ხანს უკან ჩვენი ექიმი იდგა თავის დერეფანში დამშვიდებულის სინიდისით დინჯად იხდიდა პალტოსა და კალოშებს. ვაი! ვაი! რა დანამცეცებული უნდა იყვეს ის სინიდისი, რომელიც უპატიოსნოდ თითის განძრევითაც-კი მშვიდობით იმოსება!.. შეაღო თუ არა ზალის კარები, მას პური-საჭმლის ოთახიდამ შემოეგება მხიარული სიმღერა: ეშხში შესული სტუმრები გრძნობითა მღეროდნენ განსვენებულ ალ. ჭავჭავაძის „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“-ს. ექიმმა გაირბინა ზალა, შეაღო პური-საჭმლის ოთახის კარები და იქიდგანვე დაიძახა:

„დაეცალოთ სავსე ტიკები, ჰარიარალო!..

შეეიქნეთ რაზბონიკები... თარიარალო!..“

ნ. ლ—რი

1890 წ. მარტის 18-ს.

---

*) იხ. „თეატრი“, № 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებისტოლე ბირველი

შესავალი

სალაყბოს ფურცელი.

ძველ სალაყბოს მეიდანზე
ერთხელ მქონდა მე სახლ-კარი,
შიგ ქართული ტახტი მედგა,
ქართველ დურგლის შენაქნარი.

—

სიჭაბუკის დრო როს მქონდა,
ზედ ვჯექ ხშირად მე მოწყენით,
იქ მოძმენი მომდიოდნენ
ყოველ კუთხით, ყოველ თემით.

—

ხან მებუკე, ქერელკ—ბექა,
ხან იეყია და თაეხდი,
იქ ანგარიშსა მაძლევდნენ,
ვინ რა იყო, რის მომქმედი.

—

ქართლ-კახეთში, იმერეთში,
ბევრი ენახეთ უთანხმობა:
მიწის შვილსა მიწისათვის,
მიწასთან ვით ჰქონდა მტრობა:

—

ქლეტა, მუსვრა, მტერეეა, ჩეხა;
ძმა არ სცნობდა თავის ძმასა,
შვილი მამას, მამა შვილსა,
ბიძაშვილი სახლი კაცსა!..

—

სიშურეს ხომ ვიდა მოსთქვამს:
იმას ეპყრა მრთელი ერი,
უთანხმობა, შეცილება
ქართველების იყო მტერი!

—

იმ ძველ ვითომ ქართველებში
სადღა იყო ერთი პირი?
რაც ზნეობის მაენე იყო,
მასში იყენენ მხოლოდ გმირი.

—

ყველას გრძნობას, გონებასა
დიდად უჩნდა მარტო კრივი,
თითქო საქმე სხვა არ იყო
საზრუნველი, მამობრივი.

—

ვის არ ახსოვს ჩვენი კრივის
შახ-აბას და ჩინგის ხანი,
ჩვენი არჩილ, მოთაოსნე,
და ზაქარ ბეგ კახიანი.

—

აი, იმ დროს, მე, მოლაყბეს,
ხელში მეპყრა ძველი ქნარი,
დამტვრეული, დამსხვრეული,
უსიმო და თითქმის მკედარი.

—

და ეს ქნარი დამტვრეული,
დღე მუდამ რა მედვა გვერდით,
ქართველების სვეს და ზნესა
დაეჩხაოდი ზედან სვედით.

—

ვსთქვი: ჩხავილით და ჩანგის ხმით
დავაყენებ სწორე გზასა,
მაგრამ არა, ის ეშმაკი
არ გვაშორებს იმ ძველ კვალსა!..

—

მივანებე თავი ჩოგანს,
სვედით თავი დავიხარე,
რაც იმედი მაშინ მქონდა—
არ იქნა, ვერ გავიხარე.

—

ახლა თმები გამითეთრდა,
ახლოს ეუმზერ მე სამარეს,
ის ქნარი დღეს გამახსენდა,
მოდი, კიდევ დავმღერ რამეს...

—

აწ მეჩანგეთ,—ვითომც ჩანგი
ხელთ აქვსთ, კეთილს აქლერებენ,—
მაგრამ თვით კი, სამწუხაროდ,
მხოლოდ თავის-თავს არგებენ.

—

მაშ ერთს კიდევ ამ მოხუცს დროს
ამ ჩანგს რასმეს ვათქმევინებ
და მეიდანს სახალხოთა
გამოვიყვან ზოგ ერთ პირებს!..

მოლაყბე

უმაღლესად დამტკიცებული „რუსეთის საზოგადოება“ თანხის და შემოსავლის დაზღვევისა, დაარსებული 1835 წელს.

საზოგადოება უზღავს

1, თანხას შვილებისათვის, ანუ სხვა მემკვიდრეებისათვის, ეინიცობაა დამზღვევი გარდაიცვალა.

2, თანხას, რომელიც შეუძლიან თვითონ დამზღვეველმა მიიღოს, როცა მოხუცდება.

3, თანხას, რომელიც მიეცემა დამზღვეველს აღნიშნულ ხნის შემდეგ, როცა თვითონ დასჭირდება შვილების დასაბინავებლად, ანუ ქალებისათვის სამზითვოდ.

4, პენსიას სიკვდილამდის, სამკვდროს და სხვ.

უმთავრესი აგენტი და ინსპექტორი კავკასიაში ნ. გრუზენბერგი. ფოსტის და დეპეშის ადრესი: Грузенбергу Тифлисъ. 10—6.

ქალალდის სკლადი

უმაღლესად დამტკიცებულის დიტიატკოვის ამხანაგობის ფაბრიკისა.

აქ არის საწერი, სტამბის, გაზეთის, ფოსტის და სხვა ყველა ნაირი ქალალდი, თეთრი და ფერადი. აგრეთვე ყველა ნაირი სამწერლო კუთვნილებანი: დავთრები, საწერ-კალამი, მელანი და სხვა.

ფასი იაფად; როგორც ფაბრიკებშია.

Тифлисъ, Дворцовая ул., домъ Дворянскаго банка.

10—7

„ეკსიკატორი“

სინოტიესა სპობს, იფარამს ხეს ღპობისაგან, იხმარება როგორც ზეთით შეზავებული საღებავი შენობისათვის და ხის მასალისათვის; ჰსწმენდს ჰაერს.

გისაც გამოწერა სურს, მიჰმართოს შიო დავიდოვს, გაზეთ „თეატრის“ კანტორაში.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ ძოსდევენ კვირა-უქმეებს.

12 თვით . .	10 მ.—კ.	6 თვით. . .	6 მ.—კ.
11 „ . . .	9 „ 50„	5 „ . . .	5 „ 25„
10 „ . . .	8 „ 75„	4 „ . . .	4 „ 70„
9 „ . . .	8 „ —„	3 „ . . .	3 „ 50„
8 „ . . .	7 „ 25„	2 „ . . .	2 „ 50„
7 „ . . .	6 „ 50„	1 „ . . .	1 „ 75„

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელის წლით სოფლის მასწავლებელთ „ივერიაზ“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგი ადრესით:

Тифлисъ, редакцію газеты ИВЕРІЯ.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვლა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმეა გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაუგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანეთი, ოდონ პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვლობაზე, რამდენს ადგილსაც დიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნონ. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არა დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში ბეჭდონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვედარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოდაბარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იიოთვება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლში, № 21.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

	მან.	კაპ.
ბორკილი, დრამა ოთხს მოქმედ. ა. სუმბათაშვილისა, ნათარგ. ა. მ. ახნაზაროვისა	„	40
იავნანანამ რა ჰქნა, მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის ი. გოგებაშვილისა	„	10
კედლის კალენდარი ჩარკვიანისა	„	40
სახალხო კალენდარი 1890 წ., ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული	„	10
საყმიწვილო ამბები თ. ასათიანისა, ფასი . . .	„	10
საერო კედლის კალენდარი, 1890 წ. ექ. ხელაძის გამოცემა . . .	„	52
ნ. ნიკოლაძის ნაწერი პირველი წიგნი. . . .	„	30
უბის წიგნი 1890 წ. ვალერიან გუნიას შედგენილი და გამოცემული . .	„	40
საქართველოს კალენდარი 1890 წ. მისივე. . .	„	50
ძმა ძმის მტერი მოთხრობა თარგმანი ა. წითლიძისა.	„	10
ქართული გრამატიკა ქორდანიასი. . . .	„	55
თვით მასწავლებელი ბიშვილისა.	„	45

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ბ ო რ კ ი ლ ი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ს. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. მ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა.

ჟურნალ „ნოგბათის“-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით ალარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილი წიგნისა „ლომ-კაცი,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

2 მან.

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპეიკი.

ვინც ერთობაშად იყიდის არა-ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით:

Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Караван-сарай Земельнаго банка, № 102.

НАСТОЛЬНЫЙ ЭНЦИКЛОПЕДИЧЕСКІЙ СЛОВАРЬ БРОКГАУЗА

изданіи А. Гарбель и К-о.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ москвѣ, въ магазинахъ: Дейбнеръ [Кузнецкій мостъ] Якобсонъ (Неглинная), „Сотрудникъ Школъ“ (Воздвиженка), Карбасниковя Моховая и въ его отдѣленіяхъ въ Петербургѣ и Варшавѣ], Ильинъ Фену и К° (Петровскія линіи и въ его отдѣленіи въ Потербургѣ) и въ конторѣ Гиляровскаго (Петровка, Столешниковъ пер., д. Карзинкина)

Словарь будетъ выходить въ свѣтъ съ начала 1890 года, отдѣльными выпусками, отъ 2-хъ до 3-хъ листовъ in 40 Всѣхъ выпусковъ предполагается 50.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

на всѣ выпуски на лучшей веленевой бумагѣ 12 руб.
„ „ „ обыкновенной „ 10 „
„ каждый выпускъ отдѣльно на лучшей бумагѣ 35 коп.
„ „ „ „ обыкнов. „ 25 „
Цѣна словаря въ продажѣ (неподписчикамъ): на лучшей бумагѣ—20 руб.
„ обыкнов. „ 15 „

Подписчики по выходѣ всѣхъ выпусковъ въ свѣтъ получаютъ: **карты, рисунки и роскошную папку БЕЗПЛАТНО.**

Вся немецкая печать единогласно и самымъ лестнымъ образомъ отозвалась объ энциклопедическихъ трудахъ Брокгауз такъ между прочими „Neue Freié Presse“ говоритъ, что въ настоящее время энциклопедическій словарь Брокгауза необходимъ не только для каждаго образованнаго, но и для всяка о любознательнаго человѣка, ибо даетъ отвѣты на всевозможныя справки по всѣмъ отраслямъ человѣческаго знанія, Словомъ, эта книга—„сама необходимость“.—

Словарь этотъ отвѣчаетъ на вопросы: антропологіи, археографіи, археологіи, астрономіи, ботаники, военной науки, всемірной исторій, геогнозіи, географіи, геологіи, гидротехники, зоологіи, искусств, коммерческой науки, всеобщей литературы, литографіи, математики, медицины, минералогіи, морскихъ дѣлъ, палеонтологіи, петрографіи, политической экономіи, психо-философіи, финансовой науки, фотографіи, химіи, художественной промышленности. электротехнини, эстетики, этнографіи, юриспруденціи и т. п.

Адресъ издателей Почтѣ извѣстенъ. (3—1)

ИЗЪ РАЗРѢШЕНЫХЪ ПРАВИТЕЛЬСТВОМЪ

СКЛАДОВЪ

Генерала Б. И. ВИННЕРЪ

БЛИЗЪ ГОРОДА ТИФЛИСА

производится продажа

Слѣдующихъ взрывчатыхъ веществъ:

продажа миннаго и охотничьяго бѣлаго безопаснаго пороха, вполнѣ замѣняющаго студенистый динамитъ. динамита французскаго всѣхъ сортовъ. капсюлей и зажигательныхъ шнуровъ (фитилей).

Контора помѣщается въ гор. Тифлисѣ, по Елизаветинской улицѣ, въ домѣ Читахова, № 25, каторая, по соглашенію съ покупателями, принимаетъ на себя всѣ хлапоты по доставкѣ взрывчатыхъ веществъ до мѣстр назначенія.

Дозв. ценз. Тифлисъ 10-го Апрѣля 1890 г. Типо Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ს. ნებიერაძე